585
1988/2
3
ეროვნული ბიბლიოთეკა

ISSN 0203—2023

პროლეტარებო
ყველა
ქვეყნისა,
შეერთდით!

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 10

1988

# უმაღლესი საბჭოს
# უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!


# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
# უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 10 (579) ოქტომბერი 1988 წელი


1899

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### განყოფილება პირველი


270. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს შექმნის შესახებ.

271. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. ნ. ნეფედოვის საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრად დანიშვნის შესახებ.

272. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის მოწვევის შესახებ.

273. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება 1989-1990 წლების საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირების სტაბილური გრძელვადიანი ნორმატივების ექსპერიმენტის წესით დამტკიცების შესახებ.

274. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. გ. ვაშაძის საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

275. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ.

276. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის გაუქმების შესახებ.



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მეორე

277. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ნ. გუბელაძის მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

278. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება XXIV ოლიმპიურ თამაშობათა მონაწილეებისა და მათი მწვრთნელების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

279. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ჩრდილო ოსეთის ასს რესპუბლიკის ქ. ორჯონიკიძის ა. წერეთლის სახელობის მე-19 ქართული საშუალო სკოლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

280. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მახარაძის ა. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

281. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ქ. დ. კასრაძისათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

282. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. შ. ი. მოსიძისათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

283. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

284. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

285. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

286. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

287. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის სისტემის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

288. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მახარაძის ა. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

289. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ ვაჭრობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

290. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. შ. ნ. მიქელაძისათვის „საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

291. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. თ. სვანიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

სიცილიის პარლამენტის დელეგაციის საქართველოს სს რესპუბლიკაში სტუმრად ყოფნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**270 საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს შექმნის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეიქმნას საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რესპუბლიკური სამინისტრო და გაუქმდეს საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 10 ოქტომბერი.
№ 1918—XI

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**271 ამხ. ნ. ნ. ნეფედოვის საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრად დანიშვნის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე **ნეფედოვი** საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 11 ოქტომბერი.
№ 1919—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 272 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეათე სესია 1988 წლის 23 ნოემბერს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 18 ოქტომბერი.
№ 1923—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 273 1989-1990 წლების საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირების სტაბილური გრძელვადიანი ნორმატივების ექსპერიმენტის წესით დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებსა და ადგილობრივ ბიუჯეტებში საერთო-საკავშირო შემოსავლისა და გადასახადების, 1982 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების რეალიზაციის, აგრეთვე ბრუნვის გადასახადის, ანარიცხების ნორმატივები ფიქსირებული ოდენობით (პროცენტობით) სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობის მიმართ 1989-1990 წლებისათვის შემდეგი ოდენობით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

(პროცენტები კონტინგენტისა ტერიტორიის მიხედვით)

| ბიუჯეტის დასახელება | ანარიცხების დასახელება 1989-1990 წლებისათვის | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | ბრუნვის გადასახადიდან | მუშა-მოსამსახურეთა სა-შემოსავლო გადასახადიდან | 1982 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სეს-ხის ობლიგაციების რეა-ლიზაციიდან | სახელმწიფო და კოოპერა-ციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცუ-ლობიდან: 1989 წლისა-თვის | სახელმწიფო და კოოპერა-ციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცუ-ლობიდან: 1990 წლისა-თვის |
| აფხაზეთის ასსრ | 35 | 35 | 10 | 1,6 | 1,5 |
| აჭარის ასსრ | 35 | 35 | 10 | 5,7 | 4,9 |
| სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი | 35 | 35 | 10 | 20,1 | 20,2 |
| ქ. თბილისი | 15 | 15 | 10 | 1,0 | 1,8 |
| ქ. ქუთაისი | 15 | 15 | 10 | 4,5 | 4,9 |
| ქ. ფოთი | 35 | 35 | 10 | 10,2 | 9,5 |
| ქ. ჭიათურა | 35 | 35 | 10 | 15,3 | 16,2 |
| ქ. რუსთავი | 35 | 35 | 10 | 8,8 | 7,5 |
| ქ. გორი | 5 | 5 | 10 | 4,5 | 5,1 |
| ქ. ტყიბული | 35 | 35 | 10 | 10,2 | 11,1 |
| ქ. ზუგდიდი | 15 | 15 | 10 | 0,9 | — |
| ქ. წყალტუბო | 35 | 35 | 10 | 1,4 | 1,1 |
| ქ. მარნეული | 15 | 15 | 10 | 2,2 | 3,5 |
| აბაშის რაიონი | 35 | 35 | 10 | 18,3 | 19,1 |
| ადიგენის რაიონი | 35 | 35 | 10 | 20,4 | 20,9 |
| ამბროლაურის რაიონი | 35 | 35 | 10 | 21,1 | 21,4 |
| ასპინძის რაიონი | 35 | 35 | 10 | 30,5 | 31,5 |
| ახალქალაქის რაიონი | 35 | 35 | 10 | 12,7 | 12,9 |
| ახალციხის რაიონი | 35 | 35 | 10 | 7,8 | 7,9 |
| ახმეტის რაიონი | 35 | 35 | 10 | 14,1 | 14,8 |
| ბოგდანოვკის რაიონი | 35 | 35 | 10 | 13,4 | 13,7 |
| ბოლნისის რაიონი | 35 | 35 | 10 | 11,6 | 12,6 |
| ბორჯომის რაიონი | 5 | 5 | 10 | 7,4 | 6,2 |
| გარდაბნის რაიონი | 15 | 15 | 10 | 3,5 | 3,5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ბიუჯეტის დასახელება | ანარიცხების დასახელება 1989-1990 წლებისათვის | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | ბრუნვის გადასახადიდან | მუშა-მოსამსახურეთა საშემოსავლო გადასახადიდან | 1982 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების ლატარეიდან | სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობიდან | |
| | | | | 1989 წლისათვის | 1990 წლისათვის |
| გეგეჭკორის რაიონი | 35 | 35 | 10 | 13,8 | 12,9 |
| გორის რაიონი | 35 | 35 | 10 | 6,5 | 6,4 |
| გურჯაანის რაიონი | 35 | 35 | 10 | 5,6 | 5,9 |
| დმანისის რაიონი | 35 | 35 | 10 | 23,7 | 22,8 |
| დუშეთის რაიონი | 35 | 35 | 10 | 10,8 | 10,8 |
| ვანის რაიონი | 35 | 35 | 10 | 17,3 | 17,8 |
| ზესტაფონის რაიონი | 35 | 35 | 10 | 3,2 | 3,3 |
| ზუგდიდის რაიონი | 5 | 5 | 10 | 7,6 | 6,5 |
| თელავის რაიონი | 35 | 35 | 10 | 4,0 | 4,8 |
| თერჯოლის რაიონი | 5 | 5 | 10 | 8,3 | 9,0 |
| თეთრი წყაროს რაიონი | 35 | 35 | 10 | 7,8 | 7,7 |
| თიანეთის რაიონი | 35 | 35 | 10 | 31,4 | 32,8 |
| კასპის რაიონი | 35 | 35 | 10 | 4,4 | 5,9 |
| ლაგოდეხის რაიონი | 35 | 35 | 10 | 4,8 | 5,0 |
| ლანჩხუთის რაიონი | 35 | 35 | 10 | 5,4 | 2,6 |
| ლენტეხის რაიონი | — | 35 | 10 | 50,2 | 51,8 |
| მაიაკოვსკის რაიონი | 35 | 35 | 10 | 16,5 | 17,0 |
| მარნეულის რაიონი | 35 | 35 | 10 | 7,2 | 7,5 |
| მახარაძის რაიონი | 15 | 15 | 10 | 1,4 | 0,5 |
| მესტიის რაიონი | — | 35 | 10 | 48.5 | 49,6 |
| მცხეთის რაიონი | 35 | 35 | 10 | 0,6 | 0,5 |
| ონის რაიონი | 35 | 35 | 10 | 24,5 | 24,7 |
| ორჯონიკიძის რაიონი | 35 | 35 | 10 | 24,7 | 25,5 |
| საგარეჯოს რაიონი | 35 | 35 | 10 | 6,2 | 6,6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ბიუჯეტის დასახელება | ანარიცხების დასახელება 1989-1990 წლებისათვის | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | ბრუნვის გადასახადიდან | მეურნე-მოსამსახურეთა საშემოსავლო გადასახადიდან | 1982 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების რეალიზაციიდან | სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობიდან | |
| | | | | 1989 წლისათვის | 1990 წლისათვის |
| სამტრედიის რაიონი | 5 | 5 | 10 | 3,6 | 3,2 |
| საჩხერის რაიონი | 35 | 35 | 10 | 16,9 | 17,2 |
| სიღნაღის რაიონი | 35 | 35 | 10 | 5,7 | 6,1 |
| ქარელის რაიონი | 35 | 35 | 10 | 14,4 | 15,5 |
| ყაზბეგის რაიონი | — | 35 | 10 | 21,6 | 22,0 |
| ყვარლის რაიონი | — | 35 | 10 | 11,3 | 11,6 |
| ჩოხატაურის რაიონი | 35 | 35 | 10 | 14,2 | 14,6 |
| ჩხოროწყუს რაიონი | 35 | 35 | 10 | 13,6 | 10,6 |
| ცაგერის რაიონი | — | 35 | 10 | 28,0 | 28,3 |
| ცხაკაიას რაიონი | 5 | 5 | 10 | 2,4 | 2,5 |
| წალენჯიხის რაიონი | 35 | 35 | 10 | 6,0 | 4,4 |
| წალკის რაიონი | 35 | 35 | 10 | 18,6 | 18,8 |
| წითელი წყაროს რაიონი | 35 | 35 | 10 | 8,2 | 8,7 |
| წულუკიძის რაიონი | 35 | 35 | 10 | 10,9 | 11,1 |
| ხაშურის რაიონი | 5 | 5 | 10 | 3,6 | 3,9 |
| ხობის რაიონი | 35 | 35 | 10 | 9,6 | 6,6 |

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 18 ოქტომბერი.

№ 1924—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**274** ამხ. ნ. გ. ვაშაძის საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

განთავისუფლდეს ამხ. ნოდარ გრიგოლის ძე ვაშაძე საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ქვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 25 ოქტომბერი.
№ 1937—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**275** საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეიქმნას საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების რესპუბლიკური სამინისტრო და გაუქმდეს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის რესპუბლიკური სამინისტრო და საქართველოს სსრ საავტომობილო გზების რესპუბლიკური სამინისტრო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ქვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 26 ოქტომბერი.
№ 1941—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 276 საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

გაუქმდეს საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 31 ოქტომბერი.

№ 1942—XI

## განყოფილება მეორე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 277 ამხ. გ. ნ. გუბელაძის მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალზე ადამიანთა გადარჩენისას გამოჩენილი გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ტრესტ „ინჟმშენის“ მუშა ამხ. გიორგი ნოდარის ძე გუბელაძე დაჯილდოვდეს მედლით **„წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 18 ოქტომბერი.

№ 1921—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 278 XXIV ოლიმპიურ თამაშობათა მონაწილეებისა და მათი მწვრთნელების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილისათვის, საკავშირო, საერთაშორისო სპორტულ არენებზე და XXIV

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიურ თამაშობებში მიღწეული წარმატებებისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ XXIV ოლიმპიურ თამაშობათა მონაწილეები და მათი მწვრთნელები:

მაია გოგის ასული **აზარაშვილი** — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი.

სერგო არშალუის ძე **აპრესიანი** — ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის მწვრთნელი ფეხბურთში.

ვლადიმერ სტეფანეს ძე **აფციაური** — საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ინსტრუქტორი.

ჰანს ალექსანდრეს ძე **ბურჯანაძე** — ტანვარჯიშის უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის უფროსი მწვრთნელი.

მალხაზ დავითის ძე **გაბუნია** — ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს მწვრთნელი ფარიკაობაში.

გურამ ირაკლის ძე **გედეხაური** — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი.

მიხეილ რეზოს ძე **გიორგაძე** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი.

დავით ნიკოლოზის ძე **გობეჯიშვილი** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტუტის სტუდენტი.

ვლადიმერ ომარის ძე **გოგოლაძე** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი.

იური მუზაკირის ძე **გუტიაკულოვი** — სპორტის საწყლოსნო სახეობების უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის უფროსი მწვრთნელი წყალში ხტომაში.

გიორგი ნაზირის ძე **თენაძე** — გორის ეკონომიკური ინსტიტუტის სტუდენტი.

ვახტანგ ერმალის ძე **იაგორაშვილი** — საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ინსტრუქტორი.

თამაზ ზურაბის ძე **იმნაიშვილი** — საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ინსტრუქტორი.

თეიმურაზ ირაკლის ძე **კაკულია** — თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა ჩოგბურთის სპორტული სკოლის დირექტორი.

არნოლდ შალვას ძე **კვეტენაძე** — ტანვარჯიშის უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის მწვრთნელი.

გელა გიორგის ძე **კეტაშვილი** — თბილისის „დინამოს" გუნდის ფეხბურთელი.

ზურაბ გიორგის ძე **კოროხაშვილი** — პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურრულ-სპორტული საზოგადოების მწვრთნელი ძიუდოში.

ივანე ივანეს ძე **ლუცენკო** — უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის მწვრთნელი თანამედროვე ხუთჭიდში.

შურა დავითის ძე **მაისურაძე** — უმაღლესი სპორტული ოსტატების რესპუბლიკური სკოლის მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში.

ნატალია ვლადიმერის ასული **მაშჩუკი** — სპორტის საწყლოსნო სახეობების უმაღლესი სპორტული ოსტატების რესპუბლიკური სკოლის უფროსი მწვრთნელი სინქრონულ ცურვაში.

ზურაბ გიორგის ძე **მაჩხანელი** — ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს უფროსი მწვრთნელი სასტენდო სროლაში.

ვლადიმერ შალვას ძე **მესტვირიშვილი** — ჭიდაობის უმაღლესი სპორტული ოსტატების რესპუბლიკური სკოლის უფროსი მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში.

ლეილა გიორგის ასული **მესხი** — თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი.

ივანე ნიკოლოზის ძე **ნიკოლაძე** — ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „შრომითი რეზერვების“ უფროსი მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში.

ტარიელ ვარდენის ძე **ულენტი** — უმაღლესი სპორტული ოსტატების რესპუბლიკური სკოლის უფროსი მწვრთნელი სასტენდო სროლაში.

თამაზ ნესტორის ძე **რეხვიაშვილი** — პროფკავშირების ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის მწვრთნელი.

გურამ რევაზის ძე **სადარაძე** — ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში.

ვახტანგ მოსეს ძე **სალუქვაძე** — უმაღლესი სპორტული ოსტატების რესპუბლიკური სკოლის მწვრთნელი სასტენდო სროლაში.

ნინო ვახტანგის ასული **სალუქვაძე** — საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტი.

ამირან მიხეილის ძე **ტოტიკაშვილი** — საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ინსტრუქტორი.

ქრისტინა რომუალდის ასული **ფალასანიდი** — საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტი.

ანზორ გიორგის ძე **ქიბროწაშვილი** — გორის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე.

გიორგი ანატოლის ძე **ჩოგოვაძე** — საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტი.

ირაკლი დავითის ძე **ჩხიკვაძე** — ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს წყალბურთის ოსტატთა გუნდის უფროსი მწვრთნელი.

შოთა დიმიტრის ძე **ხაბარელი** — საქართველოს ძიუდოს ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლერი გაბრიელის ძე **ხაბელოვი** — საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ინსტრუქტორი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 17 ოქტომბერი.

№ 1922—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 279 ჩრდილო ოსეთის ასს რესპუბლიკის ქ. ორჯონიკიძის ა. წერეთლის სახელობის მე-19 ქართული საშუალო სკოლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მოზარდი თაობის ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდის საქმეში დიდი დამსახურებისათვის **ჩრდილო ოსეთის ასს რესპუბლიკის ქ. ორჯონიკიძის ა. წერეთლის სახელობის მე-19 ქართული საშუალო სკოლა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 20 ოქტომბერი.

№ 1925—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 280 მახარაძის ა. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების დარგში მიღწეული წარმატებებისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ მახარაძის ა. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მუშაკები:

ანა მიხეილის ასული **ანდღულაძე** — მსახიობი.

ვალერიან ალექსანდრეს ძე **კანთელაძე** — მსახიობი.

ჯემალ გრიგოლის ძე **კეჭაყმაძე** — სადადგმო ნაწილის გამგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ რაფიელის ძე **კუტალაძე** — დამდგმელი რეჟისორი.
ეთერ გიორგის ასული **მუჩიაური** — მსახიობი.
მერაბ ვალერიანის ძე **სირაძე** — სცენარის მთავარი მემანქანე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 25 ოქტომბერი.
№ 1936—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 281 ამხ. ქ. დ. კასრაძისათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა საესტრადო ხელოვნების დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. ქართლოს დავითის ძე **კასრაძეს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ სახალხო არტისტის"** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 13 ოქტომბერი.
№ 1920—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 282 ამხ. შ. ი. მოსიძისათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა საგუნდო მუსიკის განვითარებაში წვლილისათვის გორის სამუსიკო სასწავლებლის გოგონათა კამერული გუნდის სამხატვრო ხელმძღვანელს ამხ. შალვა ილარიონის ძე **მოსიძეს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ სახალხო არტისტის"** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 25 ოქტომბერი.
№ 1926—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 283 „საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის **„საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის“** საპატიო წოდება მიენიჭოთ:

გრიგოლ (გივი) ვახტანგის ძე **თოიძეს** — მხატვარს.

ალდე გრიგოლის ასულ **კაკაბაძეს** — თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორს.

მამია (ჯემალ) გიორგის ძე **ლოლუას** — მხატვარს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 25 ოქტომბერი.

№ 1929—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 284 „საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მედიცინის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **„საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის“** საპატიო წოდება მიენიჭოთ:

ჯემალ ლავრენტის ძე **გედენიძეს** — ქუთაისის რკინიგზის საავადმყოფოს მთავარ ექიმს.

ლუსია თომას ასულ **გერმესაშვილს** — ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის სანეპიდსადგურის ექიმ ეპიდემიოლოგს.

ეთერ ისაკის ასულ **მინოვიჩს** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული IV მთავარი სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის ექიმ გინეკოლოგს.

შალვა ათანასეს ძე **ხელაიას** — გეგეჭკორის ცენტრალური რაიონული საავადმყოფოს ინფექციური განყოფილების გამგეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 25 ოქტომბერი.

№ 1935—XI

ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 285 „საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო მოღვაწეობისათვის **„საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება მიენიჭოთ:

ავთანდილ ალექსანდრეს ძე **ასლანიშვილს** — თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პრორექტორს.

ნათელა ვასილის ასულ **ბეგიაშვილს** — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტს.

სვიმონ ვიქტორის ძე **გამსახურდიას** — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორს.

რევაზ მელენტის ძე **მითაიშვილს** — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის უფროს მასწავლებელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 25 ოქტომბერი.

№ 1933—XI

18941

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 286 „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სამართალდამცველ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **„საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“** საპატიო წოდება მიენიჭოთ:

შალვა ქისქინჯის ძე **არშბას** — სოხუმის საქალაქო სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს.

ილია ნიკოლოზის ძე **ელოშვილს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის ადმინისტრაციული ორგანოების საკითხთა ჯგუფის უფროს რეფერენტს.

ლერი გერმანეს ძე **თალაკვაძეს** — ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ მთავარ რედაქტორს.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავთანდილ ვლადიმერის ძე **კობახიძეს** — თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. **კვარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 25 ოქტომბერი.
№ 1931—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 287 საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის სისტემის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი"

ნანა ნესტორის ასულ **გაწერელიას** — აგროსამრეწველო კომპლექსის სტატისტიკის სამმართველოს უფროსის მოადგილეს.

შალვა ივანეს ძე **გოზალიშვილს** — მთავარი გამოთვლითი ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სტატისტიკის განყოფილების უფროსს.

გურამ ალექსანდრეს ძე **დარჯანიას** — მთავარი გამოთვლითი ცენტრის უფროსის მოადგილეს.

ლამარა ვიქტორის ასულ **ლომაძეს** — მთავარი გამოთვლითი ცენტრის ტექნიკური პროგრესის სტატისტიკის საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსს.

ნატალია სტეფანეს ასულ **მათიაშვილს** — მოსახლეობის სტატისტიკის სამმართველოს უფროსის პირველ მოადგილეს.

ეთერ მიხეილის ასულ **სილაგაძეს** — მრეწველობის სტატისტიკის სამმართველოს მთავარ ეკონომისტს.

ავთანდილ გრიგოლის ძე **ღვინეფაძეს** — სტატისტიკის ორგანიზაციის სრულყოფის სამმართველოს უფროსის მოადგილეს.

გურამ დიმიტრის ძე **წიქურიშვილს** — სოციალური სტატისტიკის სამმართველოს უფროსს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი"

ზაქარია რუბენის ძე **გობეჯიშვილს** — სტატისტიკური საინფორმაციო სისტემის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორს.

ბიბლიოთეკა

ვაჟა ალექსანდრეს ძე ტუღუში — მთავარი გამოთვლითი ცენტრის უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 25 ოქტომბერი.
№ 1932—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**288** მახარაძის ა. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის მახარაძის ა. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მუშაკებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ სახალხო არტისტი“

რომან სერგოს ძე ლომინაძეს — მსახიობს.
გაბრიელ პლატონის ძე მდინარაძეს — მსახიობს.

„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე“

ვასილ კლავდიუსის ძე ჩიგოგიძეს — თეატრის მთავარ რეჟისორსა და დირექტორს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი“

გივი არშაკის ძე ახმეტელს — მსახიობს.
ნუგზარ კირილეს ძე ბარამიძეს — მსახიობს.
ზაირა კონდრატეს ასულ თოთიბაძეს — მსახიობს.
ომარ შალვას ძე ურუშაძეს — მსახიობს.
ამირან შოთას ძე ქადეიშვილს — მსახიობს.

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“

მიხეილ ილიას ძე გოლიაძეს — სალიტერატურო ნაწილის გამგეს.
შოთა ვიქტორის ძე დარჩიას — მთავარ მხატვარს.

მამია ვალერიანის ძე **თუთაიშვილს** — დამდგმელ მხატვარს.
რევაზ პავლეს ძე **სარიშვილს** — დირექტორის მოადგილეს.
იური ილიას ძე **ჯიჯიეშვილს** — დასის ხელმძღვანელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ქვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 25 ოქტომბერი.
№ 1934—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 289 „საქართველოს სსრ ვაჭრობის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **„საქართველოს სსრ ვაჭრობის დამსახურებული მუშაკის"** საპატიო წოდება მიენიჭოთ:

გუგული აპოლონის ასულ **ავალიანს** — წყალტუბოს კურორტვაჭრობის უნივერმაღის სექციის გამგეს.

საფარ ჩაგოს ძე **აშხარავას** — ბიჭვინთის კურორტვაჭრობის დირექტორს.

ვალერიან ალექსანდრეს ძე **გრძელიშვილს** — რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს უფროსს.

ვალერი ივანეს ძე **დოლიძეს** — „თბილფეხსაცმელვაჭრობის" № 4 მაღაზიის გამგეს.

შოთა ვასილის ძე **კირვალიძეს** — რესპუბლიკური ბაზა „საქფეხსაცმელვაჭრობის" მმართველის მოადგილეს.

ლამარა გრიგოლის ასულ **ქასრაშვილს** — „ბათუმმრეწვვაჭრობის" № 18 მაღაზიის გამყიდველს.

ალექსანდრე დავითის ძე **ფუხაევს** — „თბილტანსაცმელვაჭრობის" № 1 საწყობის გამგეს.

ეთერ ალექსანდრეს ასულ **ყამარაულს** — უნივერმაღ „თბილისის" კადრების განყოფილების უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ქვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 25 ოქტომბერი.
№ 1930—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**290** **ამხ. შ. ნ. მიქელაძისათვის „საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

რესპუბლიკაში მასობრივი სპორტისა და ფიზიკური კულტურის განვითარებლად ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის პროფკავშირების საკავშირო ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების აფხაზეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. შალვა ნიკოლოზის ძე მიქელაძეს მიენიჭოს **„საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის"** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 25 ოქტომბერი.
№ 1927—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**291** **ამხ. გ. თ. სვანიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტრის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზაციისათვის გაწეული ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ქუთაისის სარემონტო-სამშენებლო კანტორის მთავარ ბუღალტერს ამხ. გოგუცა თეოფანეს ასულ **სვანიძეს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტრის"** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 25 ოქტომბერი.
№ 1928—XI

№ 10
ეროვნული
ბიბლიოთეკა

## განყოფილება მესამე

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 26 ოქტომბერს მიიღო დადგენილება სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ სსრ კავშირის კანონისა და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტების საყოველთაო სახალხო განხილვის მიმდინარეობისას შემოსული წინადადებებისა და შენიშვნების განზოგადებისათვის მუშაობის ორგანიზაციის თაობაზე.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალათ მიიღონ ზომები დეპუტატთა მიერ, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, საცხოვრებელ ადგილას მოქალაქეთა კრებებზე, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მიერ, პრესაში, ტელევიზიით, რადიოთი სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ სსრ კავშირის კანონისა და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტების ფართო განხილვის ორგანიზაციისათვის.

საბჭოთა ორგანოებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს დაევალათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს გამოუგზავნონ განზოგადებული მონაცემები აღნიშნული პროექტების განხილვის მიმდინარეობისა და მათ გამო წინადადებებისა და შენიშვნების შინაარსის თაობაზე.

### სიცილიის პარლამენტის დელეგაციის საქართველოს სს რესპუბლიკაში სტუმრად ყოფნა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევით რესპუბლიკას რამდენიმე დღით ეწვია სიცილიის პარლამენტის დელეგაცია. მას ხელმძღვანელობდა სიცილიის საოლქო ასამბლეის (პარლამენტის) თავმჯდომარე სალვატორე ლაურიჩელა. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: კომუნისტური პარტიის ჯგუფის თავმჯდომარე ჯოვანი პარიზი, სოციალისტური პარტიის ჯგუფის თავმჯდომარე პაოლო პიჩონე, იტალიის სოციალური მოძრაობის ჯგუფის თავმჯდომარე ვიტო კუზიმანო, სოციალურ-დემოკრატიული პარტიის ჯგუფის თავმჯდომარე დიეგო ლო ჯუდიჩე, ლიბერალური პარტიის ჯგუფის თავმჯდომარე ჯუზეპე დ'ურსო სომა, შერეული ჯგუფის თავმჯდომარე ფრანჩესკო პირო და სხვ.

დელეგაცია მოსკოვს ჩამოფრინდა 17 ოქტომბერს. შერემეტიევოს აეროდრომზე სტუმრებს დახვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ლაღიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. ზედგინიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველი ჰ. ჭიპაშვილი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე ვ. კიუტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მუშაკი ლ. ნიკიფოროვა.

ჩამოსვლის დღეს სიცილიელმა პარლამენტარებმა დაათვალიერეს არბატზე საქართველოს კულტურის ცენტრი „მზიური“.

18 ოქტომბერს დელეგაცია თბილისში ჩამოვიდა. ამავე დღეს სიცილიელი პარლამენტარები მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გილაშვილმა. სტუმრებს გააცნეს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სტრუქტურა და საქმიანობა, ის ღრმა, შემოქმედებითი პროცესები, რომლებიც საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მიმდინარეობს. საუბარში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ თ. კაბულოვამ, დეპუტატებმა რ. გოგლიძემ, ა. კარანაძემ, ა. სანებლიძემ, ვ. შარაშენიძემ, პ. ჩხეიძემ, **სხვა ოფიციალურმა პირებმა.**

სტუმრები ეწვივნენ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს. საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. ანდრიაძემ გააცნო მათ თბილისის განვითარების პერსპექტივები.

დელეგაციის წევრები იყვნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში. აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ა. აფაქიძე ესაუბრა მათ საქართველოსა და იტალიის ხალხების ურთიერთობაზე, რომელსაც ღრმა ფესვები აქვს.

დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თავთავი“, თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმი „ქარვასლა“, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, ქალაქის ღირსშესანიშნაობები, საზეიმო რიტუალების სასახლე, ესტუმრნენ სსრ კავშირის სახალხო მხატვარს მ. ბერძენიშვილს სახელოსნოში, იყვნენ ღვინის სადეგუსტაციო დარბაზ „საჭაშნიკეში“, ცენტრალურ საკოლმეურნეო ბაზარში, დაესწრნენ სპექტაკლს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში, აგრეთვე ფოლკლორული მუსიკის კონცერტს წმინდა ნიკოლოზის ტაძარში, გაემგზავრნენ მცხეთაში, საგარეჯოს რაიონში დაათვალიერეს მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა და სხვ.

სიცილიის პარლამენტის დელეგაციის მეთაურმა სალვატორე ლაურიჩელამ მიიწვია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დელეგაცია სიცილიაში 1989 წელს.